

Bibliography:

Brzezinski 1999: Brzezinski Zb. *America and the Future of Georgia in the Changing Eurasia*. Printed Speech from the International Conference. Tbilisi: October 17,1999.

Dila 1979-2000: *Dila, Journal for Junior Class* (in Georgian). Tbilisi: 1979-2000.

Frankopan 2019: Frankopan P. *The Silk Roads, A New History of the World*. New York: Vintage Books, 2019.

Jologua 2013: Jologua T. *History of Georgian Journalism* (in Georgian). Tbilisi: Artanuji, 2013.

Jones 2005: Jones St. *Socialism In Georgian Colours*. USA: Harvard University Press, 2005.

Jones 2013: Jones St. *Georgia, A Political History Since Independence*. London:I.B. Tauris,2013.

Kalandadze 1984-1985: Kalandadze A. *History of Georgian Journalism* (in Georgian). Tbilisi: Ganatleba 1984-85.

Nakaduli (former "Pioneri") 1990-2014: *Nakaduli, Journal for adolescents* (in Georgian). Tbilisi: 1990-2014.

Nine April 1990: Nine April. *Documentary –Publicistic Collection* (in Georgian). Tbilisi: Merani 1990

Pioneri 1980-1990: *Pioneri, Journal for Adolescents* (in Georgian). Tbilisi: 1980-1990.

Rayfield 2000: Rayfield D. *The Literature of Georgia, A History*. England: Curson Caucasus World, 2000.

Silagadze 1993: Silagadze Ap. *Georgia' 92* (in Georgian). Tbilisi: Studio, 1993.

Grigol Jokhadze

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Non-literal Conflict (T. Tabidze VS. O. Mandelstam)

The paper is marked by the attempt to re-read and thoroughly analyze Osip Mandelstam's essay „Two words about Georgian Art“.

Mandelstam visited Georgia three (1920,1921, 1930) times and dedicated to it several essays, five of which were published in communist

press. All of them comprise sudden attack and biased criticism against political and cultural orientation of Democratic Republic of Georgia (1918-1921), which did not go without an aggressive response of T.Tabidze. Researchers (the Georgians among them), although, had always kept way from the detailed analyze of Mandelstam's dubious passages and prefer to maintain, at least, political correctness.

As the research has shown, both – the common pathos and some specific toposes of an essay are saturated with the great-power chauvinism, anti-European and pro-soviet spirit.

Key Words: Mandelstam, T. Tabidze, Georgia, Great-power chauvinism, anti-European attitudes

გრიგოლ ჯობაძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

არალიტერატურული კონფლიქტი (ტ. ტაბიძე VS. ო. მანდელშტამი)

ოსიპ მანდელშტამის ნარკვევის – „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“ – არათუ ზოგადი პათოსია ველიკოდერჟავული, ანტიევროპული და პროსაბჭოური სულისკვეთებით დანადმული, არამედ – კონკრეტული ტოპოსებიც, რის დადასტურებასაც შევეცდებით (ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე).

ნარკვევი ერთი უპასუხისმგებლო განცხადებით იწყება: **რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია.**

არავითარი ქართული შემოქმედებითი ტრადიცია არც მეცხრამეტისა და არც მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში არ დამკვიდრებულა, და მანდელშტამის სეფესიტყვა, რბილად რომ ვთქვათ, სიცრუეა და თანაც – სრულიად უმიზნო და გაუმართლებელი.

ან იქნებ პოეტი იმ „ტრადიციას“ გულისხმობს, რომ რუსი პოეტები უნებლიეთ მოაწყდებოდნენ ხოლმე ე.წ. `თბილ ციმბირს“ – კავკასიას და თავიანთ ლექსებში ბინას უძებნიდნენ მშვენიერ ქართულ ბუნებას, მშვენიერ ქართულ ღვინოსა და კერძებს, რასაც მანდელშტამი „ყოფის ზედაპირულ ეგზოტიკას“ ეძახის, მშვენიერ

ქართველ ქალებსა და მხდალ ქართველ მამაკაცებს («И дикий крик и стон глухой Промчались в глубине долины – Недолго продолжался бой: Бежали робкие грузины!», М.Ю. Лермонтов «Демон»)? ნუთუ ეს არის „ქართული ტრადიცია“, რომელიც „რუსულ პოეზიაში“ დამკვიდრებულა და რომელმაც ბალღივით უნდა აგვაჭყლოპინოს?

რაგვარადაც ოცობოდო და მყიფეა ეს ფრაზა, იმგვარადვე ნაძალადევი ლირიზმით გამოირჩევა შემდეგი წინადადება, რომელიც პუშკინის არასწორად მოტანილი ციტატით მთავრდება:

„გასული საუკუნის რუსი პოეტები როცა საქართველოს ეხებიან, მათი ხმა განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს იძენს და თვით ლექსიც თითქოს რბილ, ტენიან ატმოსფეროში იძირება: «На холмы Грузии легла ночная мгла» (უნდა იყოს: «На холмах Грузии лежит ночная мгла», გ.ჯ.).

საქმე ის გახლავთ, რომ პუშკინის ამავე სათაურის ლექსი საქართველოს კი არა, რუსეთში დარჩენილ სატრფოს (სავარაუდოდ, ნატალია გონჩაროვას) ехеба, მანდელშტამისეული „საქართველო“ კი მხოლოდ ანტურაჟია: გორაკები, რომელთაც ღამის წყვდიადი დასწოლია, და მქმინავი არაგვი. აი, თურმე რა ანიჭებს რუსი პოეტების ხმას განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს და რა ძირავს ლექსს რბილ, ტენიან ატმოსფეროში!

ახლა – იმ ფრაზის თაობაზე, რომლის სინტაქსიც, სემანტიკაცა და კატეგორიზმიც, ძირითადად, მანდელშტამის „ფილოლოგიური გარჯის“ ნიმუშის – ვასილი როზანოვის (1856-1919) პოეტ ნიკოლაი ნეკრასოვის (1821-1877) შესახებ გამოთქმული აზრის ან ექოა, ან – ციტაცია (როზანოვი).

აი, რას წერს როზანოვი თავის ექსპერიმენტული ფორმის – „წამომახილთა, ამოოხვრათა, ნახევარაზრთა და ნახევარგრძნობათა“ – კრებულში „განმარტოებული“:

„ისეთი, როგორც ნეკრასოვის ეს ორი სტრიქონია – «Еду ли ночью по улице темной, — Друг одинокий!»– ჯერაც არ არსებობს მთელ რუსულ ლიტერატურაში.

მართალი გითხრათ, როზანოვის ამ შეფასებას ვერც წავაწყდებოდით, რომ თვითონ მანდელშტამი არ „უტევდეს“ მას წერილში „სიტყვის ბუნების შესახებ“. მანდელშტამი ამტკიცებს, როზანოვი ფილოლოგია და არა – ლიტერატურის კრიტიკოსიო.

აი, ეს პასაჟი: „კრიტიკოსს უნდა შეეძლოს თემების შთანთქმა, განზოგადებისას ძირითადის მიკვლევა. როზანოვი კი თავით ფეხამდე ისე ეფლობა ნებისმიერი რუსი პოეტის სტრიქონში, როგორც ნეკრასოვის პეკარში ჩაეფლო. «Еду ли ночью по улице темной» – პირველი, რაც თავში მოუვიდა ღამით ეტლში მჯდომარეს. როზანოვის შენიშვნა – საეჭვოა, ასეთი რუსული ლექსი მთელ რუსულ პოეზიაშიც კი მოიძებნოსო (.

როგორც ხედავთ, ციტირებისას აქ მანდელშტამიც „სცოდავს“, მაგრამ ამჯერად ეს სრულიად არ მეჩვენება საძრახის საქციელად, რადგან ძალიან ჰგავს ქართულ ხელოვნებაზე დაწერილი ნარკვევის ამ ადგილს: „აღბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ დაიძებნება“, და ა.შ.

მეტიც: წერილის დასაწყისშივე მომთენთავად შემოპარებული მაქსიმა პირწმინდად იმპერიული და, მეტიც: ყალბია! ვგულისხმობ ფრაზას: „აღბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ დაიძებნება ისე ქართულად მთვრალი და ისეთი ქართული სურნელით გაჯერებული ორი სტრიქონი, როგორებიც წარმოთქვა ლერმონტოვმა: «Пену сладких вин сонный льет Грузин...»

ჯერ ერთი, მანდელშტამმა არ იცოდა (და შეუძლებელიცაა, სცოდნოდა) „მთელი ქართული პოეზია!“

მეორე, ქართულ პოეზიაში თავისთავად ვერ იქნებოდა რუსულად წარმოთქმული სტრიქონები!

მესამე, მანდელშტამი სრულიად დაუფარავად შენიშნავს, თვით ქართველ პოეტსაც კი (ვთქვათ, მეთორმეტიდან – მეოცე საუკუნემდე!) ვერ დაუწერია აგრერიგად ქართული ორი პეკარიო!

განა გასაკვირი არ არის, რომ ეს ბრალდებად, ცილისწამებად თუ შეურაცხყოფად არც რომელიმე ქართველ პოეტს მოსჩვენებია, არც – ლიტერატორს?

შესაძლოა, მიწყვიტ სხვის ქებას დანატრებული ქართველის სმენა ამ დუბლირებული „ქართულის“ გაგონებას მოეშრბათებინა, მაგრამ მზერას ხომ მაინც უნდა განერჩია, რომ თურმე (მანდელშტამის ტექსტში ეს თავკიდური „აღბათ“ – აღბათ, რევერანსია!) მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ მოიძებნება იმგვარად ქართულად შექეიფიანებულ-არომატიზებული პეკარები, როგორებიც ესაა (კვლავაც ლერმონტოვის ავტორიტეტმა რომ არ „დაავთორგუნოს“

და „მოგვეთნოს“, ამ სტრიქონებს ქართულად სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით):

„ტკბილი ღვინის ქაფს ძილმორეული ქართველი ღვრის ...“

ნუთუ ეს სტროფი მართლაც ისეთ პოეტურ მიღწევაზე მიგვითითებს, რომ კატეგორიულ განაცხადსაც არ მოვერიდოთ („ალბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ მოიძებნება“... და ა.შ.)?

ნუთუ უნატიფეს ესთეტ მანდელშტამს კარგი სტრიქონების ამოცნობა გაუჭირდა, გემოვნებამ უმტყუნა?

ნაკლებდასაჯერებელია.

მგონია, რომ აქ ყველაზე „ქართული“ (სურნელოვანი და ბახუსშეპარული) მხოლოდ ის არის, რომ ქართველი „მთვრალი“, და საკუთარ „დიდებას“ – ქართულ ღვინოს ღვრის...

მაგრამ მანდელშტამი ციტირებისას სცოდავს (საგანგებოდ?):

საქმე ის გახლავთ, რომ მიხაილ ლერმონტოვის მიერ 1841 წელს დაწერილ ლექსში „სჯა-ბაასი“ («Спор») ეს სტრიქონები ასე იკითხება:

«Посмотри: в тени чинары
Пену сладких вин
На узорные шальвары
Сонный льет грузин» (ლერმონტოვი).

ლერმონტოვის სტრიქონები გვამცნობს, რომ ჭადრების ჩრდილში ძილმორეული ქართველი ტკბილი ღვინის ქაფს შარვალზე იღვრის (!).

ნუთუ მანდელშტამმა იმიტომ არ მოიტანა სრულად ეს სტრიქონები, „დაფარული“ არ „გაცხადებულიყო“ და ის, რაც რუს პოეტს აგრერიგად ესალბუნება, სინამდვილეში ქართველის დაცინვა თუ არა, ცალყბა გაკილვა მაინცაა?

ან იქნებ პოეტური პიეტეტიც დაცინვანარევია, და ეს ქართველების (ქართული კულტურის) სიყვარულის რუსული ვერსიაა?

იქნებ ლერმონტოვის ეს სამაგალითო ლექსი (სრული ვარიანტი) მაინც გულისხმობს იმგვარ „ქართულად მთვრალ“ და „ქართული სურნელით გაჯერებულ სტროფებს“, რომელთა დაძებნა მთელ ქართულ პოეზიაშიც კი შეუძლებლად ეჩვენა მანდელშტამს?

ვნახოთ:

ერთმანეთს მთები – ყაზბეგი და იალბუზი ეკამათებიან. იალბუზი აფრთხილებს ყაზბეგს, რაკი ადამიანებს დამორჩილდი, მალე

შენს შეუვალ სხეულს გამოშიგნავენ, შენი წიაღიდან ბრინჯაოს და ოქროს ამოსრუტავენ, შენს ფრიალოებზე გზებს გაჭრიან, აღმოსავლეთის გემინოდესო. ყაზბეგი უპასუხებს, აღმოსავლეთი არ მაშინებს: ჭადრებქვეშ ბახუსშეპარულ ქართველს ღვინო შარვალზე ეღვრება, ფერად ტახტზე თრიაქით გაბრუებული თეირანი თვლემს, იერუსალიმის თხემთან ღვთის მიერ გადამწვარ ქვეყანას ენა ჩავარდნია, მკვდარია, ყვითელი ნილოსი სამეფო აკლდამებსდა რეცხავს, ცაში ვარსკვლავებსგამოკიდებული ბედუინი კი სიმღერით გარდასულ საქმეთა საგმიროთ იხსენებსო. მოკლედ, ჩაჩანაკ აღმოსავლეთს ჩემი დამორჩილება არ უწერიაო, – გულზვიადობს ყაზბეგი.

თავს წინასწარ ნუ იქებ, ჩრდილოეთით გაიხედეო, – ეუბნება „ყოვლისმცოდნე“ იალბუზი. ჩრდილოეთიდან რუსის ჯარი მოდის. შავნაღვლიანი ყაზბეგი მომხდურთა დათვლას თავს რომ ვეღარ გაართმევს, ღრუბლებს ქუდად ჩამოიფხატავს და საუკუნოდ დადუმდება (ლერმონტოვი).

რამდენად უინტერესოც უნდა იყოს ლერმონტოვის პოეტური ინტენცია (წინასწარმეტყველებაა ეს, სინანული, თუ სიხარულის ყიჟინა?!), მხატვრული (პოლიტიკური?) რეალობა ასეთია: დაჩაჩანაკებული, ღვინითა და თრიაქით გაბრუებული აღმოსავლეთი ბერწია, უმოქმედო და უსაფრთხო. ის, ვინც ყაზბეგიც კი დააფრთხო და შეაშინა, ჩრდილოეთი ანუ რუსეთია.

საშურია იმის დადგენა, მანდელშტამს რად დასჭირდა ამ ლექსის ინკორპორაცია და თანაც – ასეთი კატეგორიული შლეიფით? თავს ავარიდებ იმპერატიულობას (ექვეშეუვალი საბუთი არსად მოიპოვება!) და ვივარაუდებ:

მას უნდა გაემართლებინა თავისი თეზისი, რომ საქართველომ იდუმალად შეაყვარა თავი რუს პოეტებს (მანდელშტამის ნარკვევში ამგვარი საქართველოს პირველი განსახიერება ძველ, დარდიან საქართველოზე მომღერალი ქართველი მზეთუნახავია («Не пой, красавица, при мне Ты песен Грузии печальной»), რომლის ჰანგებიც პუშკინს სხვა ცხოვრებას, სხვა ქალს და რუსეთს აგონებს, მეორე კი – ღვინომორეული, მთვლემარე ქართველი, რომელსაც ნუნუა ეღვრება), და ორი პირველხარისხოვანი რუსი პოეტის (მოკლული ავტორიტეტების) სტროფები მოიტანა საბუთად – რაც გაახსენდა და როგორც გაახსენდა! ეს ჰგავს მის უაპელაციო

საქციელსა და განცხადებებს: თქვა, თითქოს დაასაბუთა კიდეც, და თავსატეხად ჩვენ დაგვიტოვა! დიახ, ზუსტად ასე მგონია, მაგრამ ისიც მეჩვენება, რომ რუსი პოეტის მიერ შემჩნეული ქართული ეროტიკის ორი მარკერი ქალია და ღვინო. კაცმა რომ თქვას, ვინ იტყოდა უარს ამგვარ ეროტიზმზე? არც არავინ. არც რუსები (რუსი პოეტები) ამბობენ! ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მეორე ტოპოსი, რომლის ხილვაც ქართველებს იმიტომ ეამათ (ყოველ შემთხვევაში, საპირისპირო აზრს არსად გადავწყდომივარ!), რომ ის მათი ეროვნული სიწმინდეა და, ამავე მიზეზით (როგორც ყოველთვის!), სიფხიზლე მოუდუნდათ. ეს ამბივალენტური ტოპოსია, მთავარმართებელ ვორონცოვს ჰგავს (და არა ვორონცოვ-დამკოვს, როგორც მანდელშტამს ჰგონია): თან ტკბილია და თან – მწარე, თან სიმართლეა და თან – სიცრუე... ვგულისხმობ ფრაზას: ამ მითის შუაგულში თამარი დგას, რომელიც მოსდევს მანდელშტამის მიგნებას, რომ პუშკინისეული ქართული მითი ლერმონტოვმა მთელ მითოლოგიად გარდაქმნა.

პუშკინისეული ქართული მითი... მართლაც მითია, ყოველ შემთხვევაში, იმ ლექსის მაგალითით მაინც, რომლის ერთ პწკარსაც საკმაზად იყენებს მანდელშტამი:

„თბილ ციმბირში“ მყოფი პროტაგონისტი უსმენს ქართველი მზეთუნახავის სიმღერას „სევდიან საქართველოზე“, რომელიც მას ახსენებს „სხვა ცხოვრებას და შორეულ ნაპირს“. მეორე სტროფში „სასტიკი ჰანგი“ პროტაგონისტს წარმოუსახავს სტეპს, მთვარიან ღამესა და შორეული, საბრალო ქალწულის ნაკვთებს. ქართველი ქალის ხილვა წამით ავიწყებს საყვარელ და საბედისწერო აჩრდილს, მაგრამ ქართული სიმღერა ხელახლა აცოცხლებს მას, და ეს პროტაგონისტს ასევდიანებს.

აი, ასეთია ამ „მითის“ არაპოეტური ნარატივი. ლექსის „ქართველი მზეთუნახავი“ ნამდვილი მაცდუნებელია, ლამის ლოტოფატა ქვეყნის პრინცესა. მისი ხილვა რუს ოდისევსს ყველაფერს ავიწყებს: მისი ჰანგების „დაგემოვნება“ ახსენებს, რომ შორს სამშობლოა და საბრალო სატრფო. პუშკინთან დაწყვილება მანდელშტამს უფრო ათამამებს და საქართველოს ნამდვილ მაცდურად წარმოადგენინებს, რომლის ინსტრუმენტებიც ერთგვარი ეროტიკა და თრობაა. ეს იზიდავდაო რუს პოეტებს.

მაშ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პუშკინისეული „ქართული მითის“ რუსეთს იზიდავს საქართველო, აცდუნებს მას და სამშობლოს ავიწყებს. ვინ არის დამნაშავე? ცხადია, საქართველო! მისი ეროტიკული და მომთენთავ-მათრობელი კულტურა!

მიხაილ ლერმონტოვმაც ასეთი მითებისაგან აკინძა ის „ქართული მითოლოგია“, რომლის მთავარი პერსონაჟიც, არც მეტი, არც ნაკლები, თამარია.

ამ სახელის მქონე ორ ფიგურას მაინც იცნობს ლერმონტოვის შემოქმედების მცოდნე კულტურული მკითხველი. ერთი მათგანი პოემა „დემონის“ გმირია, მეორე კი ლექსისა – „თამარი“. მიუხედავად იმისა, რომ თამარი ორივეგან საბედისწერო და მაცდურია, მგონია, რომ მანდელშტამისეული დისკურსის თამარი ლექს „თამარის“ თამარია. ეს იოლად დადასტურდება.

გავიხსენოთ ამ ლექსის ნარატივი (მით უფრო, რომ „თამარი“ ბალადაა და ამის საშუალებას იძლევა):

დარიალის ჩაღრმავებულ ვიწრობებში, სადაც წყვილია და შიგ მოფუთფუთე თერგი, შავი კლდე მდგარა, კლდეზე კი – შავად მოელვარე კოშკი. აქ უცხოვრია ანგელოსივით მშვენიერ და დემონივით ვერაგ დედოფალ თამარს. მთელ ამ წკვარამში მხოლოდ მისი კოშკი ციალებდა შუქურასავით, მგზავრს თვალს რომ სჭრიდა და მოსასვენებლად მიუხმობდა. მაცდუნებელი იყო თამარის ხმა: ვნებიანიც და მბრძანებლურიც. ირანული მითოლოგიის პერსონაჟ პერის – ქალწულად გარდასახული ფერიის მსგავსი არსების – ხმაზე, თამარი რომ გამოსცემდა, კოშკისკენ მიეშურებოდა ყველა: მეომარიც, მწყემსიც და ვაჭარიც. კარს პირქუში საჭურისი უღებდათ. სარეცელი გაეშალათ. თასში ღვინო შუშხუნებდა. საოცარი ხმა ედებოდა არემარეს: თითქოს ასი ვნებააშლილი ჭაბუკი და ასი ქალწული ერწყმოდა ერთურთს. დილით ისევ სიჩუმე და წყვილია ისადგურებდა. დუმილს არღვევდნენ თერგის ტალღები, კოშკიდან გადმოყრილთა ცხედრებს რომ მიაქროლებდნენ. იმ დროს სარკმელში რაღაც იელვებდა თეთრად და თითქოს პატიების თხოვნაც გაისმოდა. ისეთი ნაზი იყო ეს გამოთხოვება, ისე ტკბილად ჟღერდა ეს ხმა, თითქოს აღმაფრთოვანებელ შეხვედრასა თუ ალერსიან ტრფიალს ჰპირდებოდა ვინმეს (ლერმონტოვი).

რუსულ და ქართულ სალიტერატურო წრეებში უკვე ადარც არავინ დავობს იმაზე, რომ ლერმონტოვის პოემა „დემონის“ სა-

ბოლო რედაქციაზე გადამწყვეტად იმოქმედა ლერმონტოვის ყოფნა კავკასიაში და ქართულმა თქმულებებმა, ლეგენდებმა და სიმღერებმა, კავკასიელთა და, კერძოდ, ქართველთა ყოფისა და წეს-ჩვეულებათა გაცნობამ.

მაგ., ის, რომ პოეტმა „დემონის“ პერსონაჟ ქართველ ასულს „თამარი“ უწოდა, ფოლკლორულ გადმოცემებს განუპირობებია. ამ გადმოცემებს შემოუნახავთ ხან დევის მაცდუნებელი მზეთუნახავი თამარი, ხან თამარ დედოფალი, ხან ყაჩაღთა მეთაური, ვინმე დარია, ხან ბნელი ძალების პროტეჟე – დედოფალი, ჯადოქარი თუ თავადის ასული დარია და ა.შ. (გაჩეჩილაძე 1948; ხახანოვი 1892:44-45; ზუბოვი 1834:4; წერილი ბულგარინისადმი 1828:23; გამბა 1826:21-22; მურავიოვის ჩანაწერები 1886:461; ჩანაწერები ასტრახანიდან კავკასიასა და საქართველოში გამგზავრებისას 1829: 105; პუშკინი; ანდრონიკოვი; ყუბანეიშვილი 1969:3-11).

დღემდე ვერავის გაურკვევია, რატომ დაუკავშირა ლერმონტოვმა ბალადისეული ზნედაცემული და ვერაგი დარია ისტორიული დედოფლის – თამარის სახელს!

ისიც მწელი სათქმელია, რამდენად აქცევს ყურადღებას პოეტი ისტორიულ სიმართლეს (მით უფრო, თუ ეს მისი ქვეყნის ისტორია არ არის!), როცა ესთეტიკური სინამდვილის შექმნას მიეღობის: ლერმონტოვის პოეტური არსება მოიხიბლა შთამბეჭდავი ლეგენდის სულისკვეთებით და უცნობი დარია ყველასთვის ნაცნობ თამარად გარდასახა!

ლერმონტოვის მიერ შეთხზულმა „მითოლოგიამ“, რომლის ცენტრშიც თამარი იდგა, დამთრგუნველად და არაერთგვაროვნად რომ იმოქმედა რუსული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე, ამის დასტური თვით მანდელშტამი და მისი 1922 წელს გამოქვეყნებული წერილია.

მაგრამ გამახსენდა ვლადიმირ მაიაკოვსკის 1924 წლით დათარიღებული ლექსიც – „თამარი და დემონი“. მაიაკოვსკი ამ დროს, როგორც ამბობენ, სტაჟიანი ფუტურისტია, და ისიც სხვებივით აცხადებს, რომ თანამედროვეობის ხომალდიდან პუშკინი და სხვები უნდა მოისროლონ. ამდენად, გასაკვირი არცაა, რომ არც მან დატოვა „უყურადღებოდ“ ლერმონტოვისეული ქართული მითოლოგია, და პაროდია შემოგვთავაზა:

პროტაგონისტს სასაცილოდ არ ყოფნის არც თერგი (ის ნაპირიდან აფურთხებს მასში), არც პირქუში კოშკი, ზეცის საფეთქლისკენ რევოლვერად რომ აღერილა, არც იმდროინდელი რუსული ლიტერატურის საკულტო სახელები: პოეტი სერგეი ესენინი (1895-1925), განათლების პირველი სახალხო კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი (1875-1933), ლიტერატურათმცოდნე პეტრე კოგანი (1872-1932)... ერთი მათგანი (ესენინი), ხულიგნობისა და დებოშისთვის ხშირად რომ დაუკავებიათ, თერგით აღრი-ალეებულა («шумит»); ზორჯომში დასასვენებლად გამგზავრებულ მეორე მათგანს (ლუნაჩარსკი) თერგი ასეთად თითქოს თვითონვე „წარმოუქმნია“ («организовал»); მესამისთვის (კოგანი), მთელი რუსული ხელოვნება რომ „ემორჩილებოდა“, ეგებ, ამ კოშკსაც უნდა მოეხარა ქედი... ამის მოფიქრალ პროტაგონისტს ჯერ, ალბათ, ის გაახსენდა, რომ ქართველია («Только нога ступила в Кавказ, я вспомнил, что я – грузин»), მერე კი იმან გააგულისა, რომ ეს „ველური ბუნება და კლდის შვერილები“ («дикость и выступления») გაცვალა დიდებაზე, რეცენზიებსა და დისპუტებზე. თავისი „საფირმო“ ხმა (გამორჩეული „სამაგელი კილოთი, მაგრამ შმაგი ძლიერებით“) თამარისთვის მიუწვდენია და დედოფლისთვის პირში მიუხლია: არაფრად მიღირს («начхать»), დედოფალი ხარ თუ მრეცხავი, მრეცხავისგან უფრო მეტი სარგებელია, ვიდრე შენგანო. დედოფალი ხანჯალს დასწვდომია, მაგრამ პროტაგონისტს ჩვეული „მეთოდი“ გამოუყენებია («вы ж знаете как...»), თავაზიანად გამოუდია ხელკავი და „კაცურად“ უთქვამს: ქალბატონო, რას თუხთუხებთ ორთქლმავალივით? («Чего кипятитесь, как паровоз?»), ვინმე ლერმონტოვისგან მსმენია თქვენზე, სხვას ვერ ნახავ მისდარ ვნებიანსო. მეც სწორედ ასეთად წარმომედგინეთ. სიყვარულის ლოდინით გული გადამელია, 30-ს ვარ, მოდი, უბრალოდ ვეტრფიალოთ ერთმანეთს ისე, რომ თვით კლდეც ბუმბულის სარეცლად გაგვეგოსო («Полюбим друг друга. Попросту. Да так, чтоб скала распостелилась в пух»). შემდეგ პროტაგონისტი ჰპირდება სატრფიალოდ შეთვალეებულ ბანოვანს, რომ მის თავს ვერც ეშმაკს დაუთმობს და ვერც ღმერთს, მას ვერც დემონი შეეტოქება – ეს ბებერი მითოლოგიური ფანტაზია... მას წყალში გადაგდებაც არად უღირს, პიჯაკის (!) გაგლეჯისთვისაც კი მზადაა, მკერდისა და ფერდის გაგლეჯაზე რომ აღარა ვთქვათ. მდინარეში

გადაგდებას რაც შეეხება, ის უფრო მტკივნეულია, მოსკოვში კიბიდან რომ გაგორებენო. მოკლედ, თამარის წინ ლერმონტოვისეული განსაცდელის დამაკნინებელი ვნებით აყფებული მამრი დგას, თითქმის – „უშიში, ვითარცა უხორცო!“ თამარი წინადადებას დასთანხმებია. სიყვარულით გათანგული წყვილის შემხედვარე დემონი გადაკარგულა. თურმე ლერმონტოვიც კი შეუვლიდათ ხოლმე და ტკბებოდა მათი ბედნიერებით, გამარჯვებული, კმაყოფილი (უფრო ზუსტად – დაკმაყოფილებული!) და სტუმართმოყვარე პროტაგონისტი კი თამარს სტუმრისთვის ღვინის დასხმას უბრძანებდა: «Налей гусару, Тамарочка!» (მაიაკოვსკი).

ამ სტატიაში მანდელშტამის ნარკვევის მხოლოდ რამდენიმე ტოპოსის ჰერმენევტიკა დაიტია. სათქმელი კი ბევრია. დასასრულ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მუდმივად თანამედროვე ალტერნატივა: ქართული კულტურის გადასაწყვეტია, მაზრსა თუ ქვევრივით ჩაიჭედება მიწაში, როგორც ამისაკენ მანდელშტამი მოგვიწოდებდა, ან ქართველები „ბოქლომს დაადებენ რვეულსაც, ბაგესაც და ფრთებსაც“, როგორც ამას მანდელშტამის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი პაველ ნერლერი გვიჩვენებს, თუ იფრენს – თავისუფლად და უშუამავლოდ!

დამოწმებანი:

КОЕ-ЧТО О ГРУЗИНСКОМ ИСКУССТВЕ, https://rvb.ru/mandelstam/01text/vol_2/03prose/2_179.htm

ანდრონიკოვი: Андроников, И., Лермонтов. *Исследования и находки*. http://loveread.me/read_book.php?id=67242&p=76

გამბა 1826: Gamba. G. F. Voyage dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces au delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, Paris, 1826, II

გაჩეილაძე 1948: გაჩეილაძე, ა. *ლერმონტოვის 'დემონი' და ქართული თქმულებები*. 'ლიტერატურა და ხელოვნება', 1948, N38.

ექვსი წერილი ... 1834: Шесть писем о Грузии и Кавказе, писанные в 1833 году Платоном Зубовым». Москва: 1834.

ლერმონტოვი: Лермонтов М. *СПОР*, <http://rupoem.ru/lermontov/kakto-razpered.aspx>

ლერმონტოვი: Лермонтов М. *Тамара*. <http://rupoem.ru/lermontov/v-glubokoj-tesnine.aspx>

მაიაკოვსკი: Маяковский Вл. *Тамара и Демон*, <http://rupoem.ru/mayakovskij/ot-etogo-tereka.aspx>

მანდელშტამი: Мандельштам О. *О ПРИРОДЕ СЛОВА*. https://rvb.ru/mandelstam/01text/vol_1/03prose/1_264.htm

ნეკრასოვი: Некрасов Н. *«Еду ли ночью по улице темной...»*, <https://rupoem.ru/nekrasov/edu-li-nochyu.aspx>

პუშკინი: Пушкин, А. С. *ПУТЕШЕСТВИЕ В АРЗРУМ ВО ВРЕМЯ ПОХОДА 1829 ГОДА*. <http://rvb.ru/pushkin/01text/06prose/01prose/0870.htm>

როზანოვი: Розанов В. В. *Апокалипсис нашего времени, Уединенное*, <http://iknigi.net/avtor-vasiliy-rozanov/54416-uedinennoe-vasiliy-rozanov/read/page-1.html>

ყუბანეიშვილი 1969: ყუბანეიშვილი ს. აკაკი წერეთლის დრამატული პოემები (*‘თამარ ცბიერი’ და ‘პატარა კახი’*). თბილისი: 1969.

ჩანაწერები ... 1886: *Записки Н. Н. Муравьева*. 1816 год. — «Русский архив», 1886, № 4

ჩანაწერები ... 1829: *Записки во время поездки из Астрахани на Кавказ и в Грузию в 1827 году*. М., 1829

წერილი X 1828: Письма Х... Ш... к Ф. Булгарину, или Поездка на Кавказ». — «Северный архив», 1828, № 8

ხახანოვი (ხახანაშვილი) 1892: Хаханов (Хаканашвили) А. „Предание о царице Тамаре“. *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. XIII. Тифлис: 1892, отд. II, с. 44–45